საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის

ბრძანება №01-725
2025 წლის 25 აგვისტო

ქ. თბილისი

,,დიპლომატიურ სამსახურში დამწყები პროფესიული საჯარო მოხელეებისათვის სასწავლო პროგრამის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2023 წლის 19 აპრილის №01-185 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე,
ვბრძანებ:

მუხლი 1

,,დიპლომატიურ სამსახურში დამწყები პროფესიული საჯარო მოხელეებისათვის სასწავლო პროგრამის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2023 წლის 19 აპრილის №01-185 ბრძანებაში (ვებგვერდი, 21/04/2023, სარეგისტრაციო კოდი: 480040000.22.030.016266) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. **ბრძანების პირველ პუნქტს დაემატოს ,,გ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:**

,,გ) დიპლომატიურ სამსახურში დამწყები პროფესიული საჯარო მოხელეებისათვის სასწავლო პროგრამის წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმა (დანართი N3).

2. **ბრძანების პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული წესის:**

ა) **მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,მუხლი 5

1. პროგრამის განხორციელების კოორდინაციას უზრუნველყოფს სამინისტრო.

2. პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს სამინისტროს იურიდიულ საკითხთა, ადამიანური და ადმინისტრაციული რესურსების მართვის დირექტორატის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი (შემდგომში – დეპარტამენტი).

3. პროგრამა მტკიცდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. დეპარტამენტი:

ა) უზრუნველყოფს:

ა.ა) პროგრამის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური, მატერიალური და ინფრასტრუქტურული რესურსის მობილიზებას;

ა.ბ) მოსამზადებელი პროგრამის მონაწილეთა სიის შედგენას;

ა.ბ) პროგრამის მონაწილეთა ოდენობის განსაზღვრას;

ა.გ) მოსამზადებელი პროგრამის მონაწილეებს შესაბამისი სასწავლო მასალით;

ა.დ) იმ მონაწილეთა აღრიცხვას, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ამ წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნას;

ა.ე) პროგრამის მონაწილე პირთა ინფორმირებას პროგრამისა და სერტიფიკატის გაცემის პირობების შესახებ;

ა.ვ) სერტიფიკატის გადაცემას;

ა.ზ) მინისტრის (ხელმძღვანელობის) ინფორმირებას პროგრამის შედეგების შესახებ;

ბ) ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ წესით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

5. პროგრამაში მონაწილეთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომლითაც დგინდება პროგრამის მონაწილეთა სია.";

ბ) **მე-6 მუხლი ამოღებულ იქნეს;**

გ) **მე-10 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,1. პროგრამის მონაწილემ, პროგრამის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში, დეპარტამენტს უნდა წარუდგინოს დასრულებული პორტფოლიო.

2. დეპარტამენტი მონაწილეებს პორტფოლიოს შეფასების შედეგებს ატყობინებს პორტფოლიოს ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.";

დ) **მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,1. პორტფოლიოსთან დაკავშირებით პროგრამის მონაწილის პრეტენზიების განხილვის მიზნით მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება საპრეტენზიო კომისია (შემდგომში – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) სამინისტროს იურიდიულ საკითხთა, ადამიანური და ადმინისტრაციული რესურსების მართვის დირექტორატის დირექტორი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) დეპარტამენტის უფროსი;

გ) სამინისტროს იურიდიულ საკითხთა, ადამიანური და ადმინისტრაციული რესურსების მართვის დირექტორატის სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტის უფროსი/მოადგილე;

დ) დეპარტამენტის თანამშრომელი (კომისიის მდივანი).".

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2025 წლის 1 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი **მაკა ბოჭორიშვილი**